



სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი №1

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	რომანული ფილოლოგია (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა) Romance Philology (French, Italian, Spanish Languages and Literary)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	0231.1.5 ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რომანულ ფილოლოგიაში - Bachelor of Arts in Romance Philology
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	<p>პროგრამის მოცულობაა 240 ECTS, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის გათვალისწინებული სემესტრების მინიმალური რაოდენობაა 8.</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ სავალდებულო საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სასწავლო კურსებს ეთმობა - 60 კრედიტი ➢ რომანული ფილოლოგიის სავალდებულო თუ სავალდებულო არჩევით სასწავლო კურსებს ეთმობა -120 კრედიტი, აქედან 90 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას ფრანგულ ენას და რომანული ფილოლოგიის თეორიულ საგნებს, ხოლო 30 კრედიტი ეთმობა ერთ-ერთ რომანულ ენას იტალიურს ან ესპანურს. ➢ კვლევითი/სამეცნიერო კომპონენტი- საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტი. ➢ თავისუფალ კომპონენტს ან დამატებით პროგრამას ან მასწავლებლის მომზადების პროგრამას ეთმობა - 60 კრედიტი
სწავლების ენა	პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე
პროგრამის ხელმძღვანელები	<ul style="list-style-type: none"> • ნატალია სურგულაძე- ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი. • მარინე სიორიძე - ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ¹	<p>საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საბაკალავრო საფეხურზე დაშვების წინაპირობებია სრული ზოგადი განათლება და ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. “რომანული ფილოლოგიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის #111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და ძვირფასების საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად და ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 3 ივნისის № 06-01/39 დადგენილების მე-16 მუხლი („ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ) შესაბამისად. ბსუ–ს განსაზღვრული აქვს „რომანული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით. პროგრამაზე ჩარიცხვებიან ის აბიტურიენტები, რომლებიც ჩააბარებენ ნებისმიერ უცხო ენას და გადალახავენ მინიმალურ ზღვარს.</p>

¹ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განისაზღვრება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ №127 ბრძანების შესაბამისად. დოქტორანტურაში მიღების წესი რეგულირდება შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით.

	<p>ბაკალავრიატში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე აბიტურიენტების, სტუდენტების ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №22 4/5 ბრძანების შესაბამისად. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის (გადმოყვანის) წესით სტუდენტთა ჩარიცხვა. პროგრამაზე ჩარიცხვისა და დაშვების წინაპირობის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ასევე საინფორმაციო ბუკლეტებიდან, უნივერსიტეტის ოფიციალური Facebook გვერდიდან და ღია კარის დღეების დროს საინფორმაციო/საორიენტაციო შეხვედრებზე.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>„რომანული ფილოლოგიის“ (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. უნივერსიტეტის მისიის თანახმად, რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია მაღალი კვალიფიკაციის, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან, ადვილად ადაპტირებადი, მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპებით აღჭურვილი სპეციალისტის ჩამოყალიბებაზე, რაც შესაძლებელია მაღალკვალიფიციური, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების აღზრდით, რომლებსაც ექნებათ არა მარტო თეორიული ცოდნა, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც, ხოლო ევროპული ენების (ძირითადად ფრანგულის, ასევე იტალიურის ან ესპანურის) ცოდნა გაუადვილებს მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას და გახდის კონკურენტუნარიანს შრომით ბაზარზე.</p> <p>„რომანული ფილოლოგიის“ (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობა</p> <p>ჩვენი რეგიონის სავაჭრო, საქმიანი, კულტურული, საერთაშორისო და ტურისტული კავშირების უზრუნველყოფის, უცხოელი ინვესტორების და ინვესტიციების, საერთაშორისო ევროპული გაცვლითი პროგრამების სიმრავლემ უცხო ენების მცოდნე სპეციალისტებისა და სტუდენტების საჭიროება თვალსაჩინო გახადა.</p> <p>სამუშაოს ხასიათის მიხედვით დასაქმების სხვადასხვა სფეროში მომუშავე სპეციალისტთა რიცხვი თანდათან იზრდება, რომელთაც სულ უფრო მეტად ესაჭიროებათ რამდენიმე უცხო ენის დაუფლება, მიმდინარე აღმშენებლობითი პროცესების და ტურისტული, საქმიანი ინფრასტრუქტურების სწრაფმა განვითარებამ, ბოლონის პროცესში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ჩართულობამ და ერთიანი, ევროპული საგანმანათლებლო სისტემის შექმნამ აქტუალური გახადა რამდენიმე უცხო ენის, მათ შორის ფრანგული ენის და დამატებით სხვა რომანული ენების იტალიურისა და ესპანურის სწავლება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აღსანიშნავია, რომ იგი რეგიონში ერთადერთი სასწავლებელია, სადაც სტუდენტს შეეძლება სიღრმისეულად შეისწავლოს ფრანგული, იტალიური ან ესპანური ენები და ლიტერატურა და მიიღოს ცოდნის დამატებითი დიპლომი. ამას განაპირობებს ისიც, რომ აჭარა წარმოადგენს ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრს, რაც საშუალებას აძლევს ჩვენი სპეციალისტების კურსდამთავრებულებს და ახალგაზრდა მასწავლებლებს მონაწილეობა მიიღონ “ევროოდისეას” გაცვლით პროგრამაში და დასაქმდნენ რომანულენოვან ქვეყნებში, რომელსაც მრავალი წელია სახელმწიფო დონეზე</p>

	<p>ახორციელებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. ამ პროგრამის წყალობით ჩვენს კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ საკუთარი ცოდნის ინტეგრირება ბუნებრივ გარემოში, მიიღონ ევროპული სამუშაო გამოცდილება, გაეცნონ ევროპულ კულტურას და მაღალ დონეზე დაეუფლონ ენობრივ კომპეტენციებს, ასევე, რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში იტალიური და ესპანური ენების ჩართვა განპირობებულია სტუდენტთა და დამსაქმებელთა რეკომენდაციით, მათ შორის, იმ მრავალფეროვანი საერთაშორისო ევროპული გაცვლითი პროგრამებით(ერასმუს+ და სხვ.), რომლებსაც ჩვენი უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს იტალიისა და ესპანეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. რომანული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიური პროგრამებია ისეთ წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში როგორებიცაა: ბელგია - ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტი, ლუვენის უნივერსიტეტი, ნამურის უნივერსიტეტი, საფრანგეთი - სორბონის უნივერსიტეტი, პოლონეთი - კრაკოვის უნივერსიტეტი, უნგრეთი - პეკსის უნივერსიტეტი და მრავალი სხვა. გაცვლითი პროგრამების მთავარი მიზანია ენის შესწავლისა და ენობრივ მრავალფეროვნების ხელშეწყობა.</p> <p>ევროპული ენების, და მათ შორის ფრანგული ენის შესწავლა ჩვენი ქვეყნის ევროკავშირისკენ სწრაფვის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედი. ევროპული პრიორიტეტები ნათლად გვაჩვენებს თუ როგორ შეიძლება დაუკავშირდეს რამდენიმე უცხოური ენის შესწავლა ჩვენი დროის დიდ გამოწვევებს, ხელი შეუწყოს წარმატებულ ინტერკულტურულ კომუნიკაციას და საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობას. უცხოური ენების ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, რომლებიც ენის შემსწავლელ სტუდენტებს საშუალებას აძლევს უკეთ მოემზადონ შრომის ბაზრისთვის და მაქსიმალურად გამოიყენონ შემოთავაზებული შესაძლებლობები.</p> <p>აღსანიშნავია, რომ ძირითადი რომანული ენები მთელ მსოფლიოშია გავრცელებული (ფრანგული - 40 ქვეყანაში, ესპანური - 56 ქვეყანაში, იტალიური - 13 ქვეყანაში), როგორც სახელმწიფო ან მეორე ენად. ასევე, მრავალი ევროპული ინსტიტუციის, დიპლომატიის სფეროს ოფიციალურ ენას ფრანგული წარმოადგენს. ამიტომ ამ უდიდესი კულტურის, ისტორიისა და ცივილიზაციის ქვეყნების ენების ფლობა და ლიტერატურის სიღრმისეული ცოდნა განაპირობებს ჩვენი პროგრამის მთავარ მიზანსწრაფვასა და აქტუალობას.</p> <p>ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმსაზღვრელი მიზნებია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. მისცეს ფართო ცოდნა რომანული ფილოლოგიის დარგში, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ცნებებისა და ტერმინოლოგიის, საფაკულტეტო, სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების საფუძველზე მთელ რიგ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საფუძველებში; თარგმნის საფუძველებისა და პრინციპების შესახებ. 2. შეასწავლოს ძირითადი ფრანგული ენა და პარალელურად ერთ-ერთი რომანული ენის, იტალიურის ან ესპანურის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკურ-სემანტიკური და ლექსიკოლოგიურ-სტილისტიკური თავისებურებები სამეტყველო უნარების(წერა, მოსმენა, საუბარი, კითხვა) ენობრივი კომპეტენციების არანაკლებ B2 დონეზე; 3. ჩამოუყალიბოს წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა უმთავრესად ფრანგულ ენაზე ან რომელიმე, არჩევით რომანულ ენაზე(იტალიურზე ან ესპანურზე) და განუვითაროს აზრის ლოგიკური თანმიმდევრობით გამოთქმისა და სხვადასხვა დანიშნულების ზეპირი და წერილობითი ტექსტის შექმნის უნარი კულტურათმორისი კომუნიკაციის ეფექტიანად წარმართვისთვის.
--	---

	<p>4. გააცნოს ანტიკური, დასავლური, რომანულენოვანი ქვეყნებისა (საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის) და ფრანკოფონიული ლიტერატურისა და კულტურის საკვანძო საკითხები და გამოუმუშავოს ლიტერატურული ნაწარმოებების, როგორც სიტყვის ხელოვნებისა და კულტურის ფაქტის აღქმის, გაცნობიერებისა და შეფასების უნარი.</p> <p>5. გააცნოს სასპეციალიზაციო ენათა თეორიული კურსები; გამოუმუშავოს ფილოლოგიური მონაცემების შეგროვების, გაანალიზების, დასკვნების გამოტანის, არგუმენტირებული მსჯელობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, სინთეზისა და ანალიზის უნარი;</p> <p>6. განუვითაროს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისა და პლაგიატის პრევენციის, თვითორგანიზების, პროფესიული განვითარებისა და კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარები.</p> <p>ამ მიზნების მისაღწევად პროგრამა ემყარება და აგრძელებს საუნივერსიტეტო ტრადიციებს, სადაც ფილოლოგიური დისციპლინების და კერძოდ კი დასავლეთ ევროპის ენების სწავლება-შესწავლა და ზოგად-ფილოლოგიური კომპეტენციების დაუფლება მნიშვნელოვან დარგად მოიაზრებოდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე.</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს. აღნიშნული ასახულია პროგრამაში შემავალი თითოეული მოდულის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკაში, რომელიც თან ერთვის პროგრამას. პროგრამის (მოდულების) სწავლის შედეგები, ასევე, შეესაბამება კვალიფიკაციის ჩარჩოს მოთხოვნებს, რომანული ფილოლოგიის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის დარგობრივ მახასიათებლებს და ითვალისწინებს შედეგების - ცოდნა და გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - მიღწევას შესაბამის დონეზე</p>
სწავლის შედეგები	რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური და ესპანური ენები და ლიტერატურა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებია:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	<p>1. აღწერს რომანული ფილოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის საკვანძო ტერმინებს, ცნებებს და საკითხებს, თარგმანთმცოდნეობის ფუნქციებს;</p> <p>2. ამოიცნობს და განმარტავს ძირითადი ფრანგული ენისა და პარალელურად ერთ-ერთი რომანული ენის, იტალიურის ან ესპანურის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ-სინტაქსურ, ლექსიკურ-სემანტიკურ და ლექსიკოლოგიურ-სტილისტიკურ თავისებურებებს.</p> <p>3. მიმოიხილავს რომანული ენების ისტორიის, დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის, რომანულენოვანი ქვეყნებისა (საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის) და ფრანკოფონიული ლიტერატურის და კულტურის ძირითად საკითხებს, თეორიებს, უახლეს პრობლემებსა და კონცეფციებს.</p>
ბ) უნარები	<p>4. იყენებს მიღებულ ცოდნას უცხოენოვან, ძირითადად ფრანგულ და რომელიმე სასპეციალიზაციო, არჩევით ენას: იტალიურს ან ესპანურს B2 დონეზე, როგორც ზეპირი, ისე წერიტი კომუნიკაციის დროს სამიზნე აუდიტორიასთან და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ აზრს შესაბამისი ენობრივ-სტრუქტურული ერთეულების შერჩევითა და სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვით.</p> <p>5. განასხვავებს სხვადასხვა თემატიკისა და ჟანრის რომანულენოვან (ფრანგულ, იტალიურ ან ესპანურ) მხატვრულ და არამხატვრული ტექსტებს; გამოხატავს შემოქმედებით და კრიტიკულ დამოკიდებულებას, დამოუკიდებელი და რეფლექსური აზროვნების უნარს ფუნქციურად და შინაარსობრივად</p>

	<p>მრავალფეროვან ტექსტებთან მიმართებაში.</p> <ol style="list-style-type: none"> 6. ავლენს ფრანგულ ენაზე ან რომელიმე სასპეციალიზაციო, არჩევით ენაზე: იტალიურზე ან ესპანურზე მიზნობრივი ამოცანის შესატყვისი სტილით წერისა და მეტყველების კულტურას და ქმნის სხვადასხვა დანიშნულების ზეპირ და წერილობით ტექსტს, ტექსტის აგების პრინციპებს ენობრივი კომუნიკაციის სათანადო ხერხების გამოყენებით. 7. იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში, როგორც წერით, ისე ზეპირი ფორმით დემონსტრირებას, სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი ტექსტების ინტერპრეტაციისას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული აპრობირებული მეთოდებით. 8. ანალიზებს სხვადასხვა ეპოქის დასავლური ლიტერატურის, რომანულენოვანი ქვეყნებისა (საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის) და ფრანკოფონიული ლიტერატურისა და კულტურის გამომხატველ ტექსტებს, მათში ასახული ინფორმაციის, იდეების, ფასეულობების, თემებისა და პრობლემატიკის დამოკიდებულებას და პოზიციას. 9. მონაწილეობს დისკუსიებში არგუმენტირებულად და თანმიმდევრულად, ზოგადფილოლოგიურ და დარგობრივ თეორიულ კურსებში მიღებულ ცოდნას იყენებს პროფესიულ საქმიანობაში, რის საფუძველზეც ახდენს ცოდნის ინტეგრირებას კვლევის სტრატეგიის შემუშავებაში, კერძოდ მონაცემების შეგროვების, იდენტიფიცირებისა და განხორციელების გზების დასახვაში. 10. ქმნის სამეცნიერო ნაშრომს (საბაკალავრო ნაშრომი, რეფერატი, გამოკვლევა, ანალიზი და სხვ.) და მოიძიებს შესწავლილ რომანულ და ქართულ ენებზე არსებულ წყაროებს, საბიბლიოთეკო და მულტიმედიურ რესურსებისა/საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
<p>გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<ol style="list-style-type: none"> 11. აღიარებს დასავლური და რომანული ქვეყნების (საფრანგეთის, იტალიისა და ესპანეთის) კულტურულ ტრადიციებსა და ფასეულობებს, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მაღალ იდეებს; იცავს პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და მოქმედებს ტოლერანტული მიდგომებით. 12. ზრუნავს საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ განვითარებაზე, ამჟღავნებს სწავლის საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრის, თვითორგანიზებისა და დროის მართვის უნარს, ასევე იმ პრიორიტეტების გამოყოფის უნარს, რაც უმაღლესი განათლების შემდეგ, მეორე საფეხურზე, მაგისტრატურაში, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემს ან/და შესაბამის სფეროში დასაქმებაში შეუწყობს ხელს.
<p>სწავლება-სწავლის მეთოდები</p>	<p>პროგრამის განხორციელების დროს გამოიყენება შესაბამისი სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაზღვრული შედეგების მიღწევას:</p> <ul style="list-style-type: none"> • ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი • ახსნა-განმარტებითი მეთოდი; • დემონსტრირება; • ტესტი • ინდივიდუალური გამოკითხვა; • ზეპირი გამოკითხვა; • წერითი მუშაობის მეთოდი; • კითხვის მეთოდი; • ლექცია; • სემინარი/სამუშაო ჯგუფი;

	<ul style="list-style-type: none"> • დამოუკიდებელი მუშაობა; • პრაქტიკული მეცადინეობა; • ინდუქცია, დედუქცია • ანალიზი, სინთეზი • წიგნზე/წყაროზე მუშაობა • ლაბორატორიული სამუშაო; • ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაცია; • სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით; • წყვილში ან გუნდური მუშაობა; • როლური და სიტუაციური თამაშები; • თანამშრომლობითი სწავლა; • გონებრივი იერიში; • სტუდენტის მიერ მასალის დამოუკიდებლად დამუშავება და აზრების გადმოცემა/მსჯელობა შესაბამის თემაზე; • ჯგუფური დისკუსია წინასწარ მომზადებულ თემაზე; • ურთიერთშეფასება; • ტექსტების, დოკუმენტებისა და სხვა სასწავლო მასალის ან მათი ამონარიდების კომენტირება მათი კონტექსტუალიზაციის, ინტერპრეტაციის ან ანალიზის მიზნით; • განსაზღვრულ თემაზე ინფორმაციის მოძიება, შერჩევა და შეფასება, მაგალითად, საბიბლიოთეკო რესურსების, დარგობრივი ბიბლიოგრაფიების გამოყენებით; • ბექდურ, ციფრულ ან/და სხვა ფორმატში წარმოდგენილი სხვადასხვა პირველადი ტექსტის, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა სასწავლო მასალის უშუალო შესწავლა/კრიტიკული წაკითხვა (გააზრება); • მოძიებული ინფორმაციისა და განხორციელებული ინტერპრეტაციის პრეზენტაცია • დისკუსია და დებატები; • შემოქმედებითი წერა; • აუდიო-ვიდეო მასალების გამოყენება; • გრაფიკული ორგანიზატორები; • პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა; • სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება; • და სხვ.
შეფასების სისტემა	<p>სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დასტურდება ცალკეულ კომპონენტში მიღებული შეფასებით. სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, მოდული, ჯგუფში მუშაობა, საბაკალავრო კვლევითი ნაშრომი ან სხვ.) სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს მიმდინარე შეფასების, შუალედური გამოცდისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამს. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რომელიც რეგულირდება საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით.</p> <p>შეფასება შეიძლება იყოს დიაგნოსტიკური, ფორმატული (ხელის შემწყობი) და შემაჯამებელი.</p> <p>დიაგნოსტიკური შეფასება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ აქვს თუ არა სტუდენტს გავლილი და შესწავლილი სათანადო მასალა, რა სირთულეებს ხვდება ის და რა დახმარება სჭირდება. ეს არის რეიტინგული და თემატური წერები, ჯგუფში მუშაობა, საშინაო დავალებები, ზეპირი გამოკითხვები. ამ დროს განსაკუთრებით მყდვენდება მიცემული დავალების შესასრულებლად სტუდენტის მიერ დამოუკიდებელი სამუშაოსათვის დახარჯული დრო.</p>

	<p>ფორმატული შეფასება საშუალებას გვაძლევს სტუდენტების უკუკავშირებით (feedback) განვსაზღვროთ სტუდენტის პროგრესი და დავხვეწოთ კურსის შინაარსი, მიზნები და შედეგები. აქ მოწმდება რეფერატები, პორტფოლიო, ესეები.</p> <p>შემაჯამებელი შეფასება გვიჩვენებს საბოლოო შედეგებს. შეფასება ხდება წერითი კოლოქვიუმების ან შუალედური რეიტინგული შეფასებების, წერების და გამოცდების შედეგების საფუძველზე. საბაკალავრო ნაშრომში სტუდენტი აკუმულირებს უკეთეს მის მიერ სწავლის პერიოდში შეძენილ ცოდნას და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ამ შედეგებით უფრო დეტალურად გავცნობით სტუდენტის პრაქტიკულ და თეორიულ დონეს, მის მიღწევებს.</p> <p>სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:</p> <p>ა) რეიტინგული შეფასება – 20 ქულა, რაც თავის მხრივ მოიცავს სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას, კურსის ფარგლებში ტარდება ერთჯერ რეიტინგული შეფასება, მაქსიმალური 20 ქულით.</p> <p>რეიტინგული შეფასების საფუძველზე მოწმდება რამდენად დამოკიდებულია სტუდენტმა პრაქტიკული კურსის მიმდინარეობისას დამუშავებული მასალა.</p> <p>ბ) მიმდინარე შეფასებას–40 ქულა, რომელშიც შედის ყოველდღიური სტუდენტის აქტიურობა ჯგუფში მუშაობისას.</p> <p>სასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60 ქულა, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა.</p> <p>შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> • შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა • დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა; <p>შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:</p> <p>ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;</p> <p>ზ) (F) ჩაიჭრა² – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნითი გამოცდის შეფასებას-40 ქულა. ტარდება ტესტური გამოცდა. ზოგიერთ დისციპლინაში გამოცდა ტარდება წერითი ან ზეპირი ფორმით. მოწმდება სტუდენტების კითხვის, მოსმენის, საუბრის და წერის უნარები. კითხვის უნარის შესაფასებლად სტუდენტებს ეძლევათ ტექსტი და ტექსტზე დაფუძნებული 10 შეკითხვა, სადაც ერთი სწორი პასუხი ფასდება 0.5 ქულით (ჯამი 5 ქულა)</p> <p>მოსმენის უნარის შესაფასებლად სტუდენტებს ეძლევათ მოსასმენი დავალება და ამ დავალებაზე დაფუძნებული 10 შეკითხვა, სადაც ერთი სწორი პასუხი ფასდება 0.5 ქულით (ჯამი 5 ქულა)</p> <p>საუბრის უნარის შესაფასებლად სტუდენტებს ეძლევათ სასაუბრო თემა განვლილი მასალიდან რომელიც ფასდება 5 ქულით: ლექსიკური მარაგის სწორად გამოყენება (იყენებს _____ თუ _____ არა _____ სტუდენტი გავლილი ენის დონის შესაბამის ლექსიკურ მარაგს, არის თუ არა ლოგიკური ბმა წინადადებებს შორის) სიზუსტე (რაც გულისხმობს გრამატიკული კონსტრუქციების სწორად გამოყენებას, სწორ წარმოთქმას)</p>
--	--

² სემესტრის საბოლოო გამოცდაზე ჩაჭრილი სტუდენტი, მიუხედავად მისი მიღწევებისა შეფასების სხვა კომპონენტებში, ითვლება ჩაჭრილად.

	<p>წერის უნარის შესაფასებლად სტუდენტებს ეძლევათ წერითი დავალება განვლილი მასალიდან რომელიც ფასდება 5 ქულით: ლექსიკური მარაგის სწორად გამოყენება (იყენებს თუ არა სტუდენტი განვლილი ენის დონის შესაბამის ლექსიკურ მარაგს, არის თუ არა ლოგიკური ბმა აზრებს შორის) - 2 ქულა, სიზუსტე (რაც გულისხმობს გრამატიკული კონსტრუქციების სწორად გამოყენებას, ორთოგრაფიასა და პუნქტუაციას, სტრუქტურას) - 3 ქულა.</p> <p>შინაარსობრივი მხარე: თემის/დავალის ირგვლივ ცოდნის გამოვლენა; რამდენად პასუხობს დავალს, აზრის თანამიმდევრულობა და დასრულებულობა, ენობრივი გაფორმება: გამართულობა ლექსიკურად და გრამატიკულად.</p> <p>5 ქულიანი შეფასების სისტემა გულისხმობს:</p> <p>5 ქულა: პასუხი სრულია, საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული, ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.</p> <p>4 ქულა: პასუხი გაცემულია ყველა კითხვაზე, მაგრამ შეკვეცილია; ტერმინოლოგიურად გამართულია; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.</p> <p>3 ქულა: პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.</p> <p>2 ქულა: პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა.</p> <p>1 ქულა: პასუხი ნაკლოვანია; ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.</p> <p>0 ქულა: პასუხი არ შეესაბამება დასმულ შეკითხვას ან საერთოდ არაა მოცემული. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.</p> <p>შეფასების მეთოდებიდან ძირითადად გამოიყენება: შუალედური და შემაჯამებელი ტესტები, (როგორც დახურული, ასევე ღია კითხვებით), ესე, ზეპირი პრეზენტაციები, შემაჯამებელი გამოცდა, შემთხვევის ანალიზი.</p> <p>ღია ტესტი : შეფასების წერითი მეთოდი, როცა კითხვა დასმულია და პასუხი ან არ არის სრულად მითითებული, ან საერთოდ არ არის და სტუდენტმა უნდა დაასრულოს ან უპასუხოს წერილობით, თითოეული პასუხი ფასდება 1 ან 2 ქულით.</p> <p>1 ან 2 ქულა - პასუხი გაცემულია სრულად და სწორად 0 ქულა - პასუხი არასრულია ან საერთოდ არ არის გაცემული</p> <p>დახურული ტესტი: შეფასების წერითი მეთოდი, მოცემულია კითხვა და მრავალი პასუხი, რომელთაგან 1 ან მრავალი სწორი პასუხია, ხოლო დანარჩენი არასწორი. სტუდენტმა უნდა შემოხაზოს ყველა სწორი პასუხი, თითოეული პასუხი ფასდება 0,5 ქულით.</p> <p>0,5 ქულა - პასუხი გაცემულია სრულად და სწორად</p> <p>0 ქულა - პასუხი არასრულია ან საერთოდ არ არის გაცემული.</p> <p>საბაკალავრო ნაშრომი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული დებულებით.</p> <p>საბაკალავრო ნაშრომის საჯარო დაცვა ხორციელდება მე-18 კვირაში, შეფასებისათვის განსაზღვრულია 100 ქულა, რომელიც მოიცავს შემდეგს:</p> <p>ა) საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის შეფასება - მაქსიმუმ 30 ქულა (აფასებს ხელმძღვანელი);</p> <p>ბ) რეცენზენტის შეფასება - მაქსიმუმ 30 ქულა;</p> <p>გ) საჯარო დაცვაზე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია - მაქსიმუმ 40 ქულა.</p>
--	--

	<p>შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ:</p> <ul style="list-style-type: none"> • განათლების სფეროში • გალერეებში • მუზეუმებში • მასობრივ მედიასა და ჟურნალისტიკაში • ტურიზმის სფეროში • სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებში • საელჩოებსა თუ საკონსულოებში • საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ფონდებში • სოციალურ-ჰუმანიტარულ და ბიზნესის სფეროებში – თარჯიმან-რეფერენტად • საჯარო სექტორში: საგარეო საქმეთა სამინისტრო, კულტურისა და განათლების სამინისტროებში • საარქივო და საბიბლიოთეკო სფეროში • რეგიონულ და მუნიციპალურ განყოფილებებში • მთარგმნელობით სფეროში. <p>ასევე, შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები შესაძლებლობას მისცემს კურსდამთავრებულს დაგეგმოს საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარება, დაადგინოს საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებები და სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - სამაგისტრო პროგრამაზე.</p>
<p>სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის</p>	<p>უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის, ხოლო საქართველოს და უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის უმაღლესი განათლების მეორე და მესამე საფეხურებზე სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი ან პროგრამა მთავრობასთან შეთანხმებით.</p>
<p>პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი</p>	<p>ამ ეტაპზე, რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 26 პირი, მათ შორის: 4 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ-პროფესორი. ამავდროულად, პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას ღებულობს 6 მოწვეული ლექტორი.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, გამოცდილება და კომპეტენცია საიმისოდ, რომ უზრუნველყონ „რომანული ფილოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. შესაბამისი ცოდნის, კვალიფიკაციის, კომპეტენციებისა და უნარების ფლობა დასტურდება მათ მიერ ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებზე წარდგენილი მოხსენებებითა და გამოქვეყნებული შრომებით, მოპოვებული სამეცნიერო თუ სასწავლო გრანტებითა და პროექტებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ზოგადად, აკადემიურ სივრცეში მოღვაწეობის ხანგრძლივი გამოცდილებითა და სამეცნიერო მიღწევებით. მათი კომპეტენციები ასევე დასტურდება იმ ფაქტით, რომ ისინი ჩართულნი არიან ლინგვისტიკის სფეროს, კერძოდ ფრაზეოლოგიისა და პარემიოლოგიის შეპირისპირებით და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევებში. ბოლო ათწლეულში განხორციელებული კვლევები და შედეგები და ზოგადად, რომანული ფილოლოგიის პროგრამის განმახორციელებელი პირების სამეცნიერო აქტივობები პუბლიკაციების სახით ასახულია საქართველოსა და უცხოეთის მაღალრეიტინგულ ჟურნალებსა და სამეცნიერო ბაზებში (Web of Science, SCOPUS, ERIH PLUS, GOOGLE SCHOLAR). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციისა თუ სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აკადემიური პერსონალის CV-ებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე.</p> <p>პროგრამის განხორციელებას ფაკულტეტზე დახმარებას უწევს ბსუ-ს ადმინისტრაცია, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, დამხმარე პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ბსუ-ს იურიდიული დეპარტამენტი, ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულები: სამეცნიერო კვლევების სამსახური, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა,</p>

საგამოცდო ცენტრი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი და სასწავლო პროცესის დეპარტამენტი.

რომანული ფილოლოგიის (ფრანგული, იტალიური, ესპანური ენები და ლიტერატურა) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელებია: პროფესორი ნატალია სურგულაძე და ასოცირებული პროფესორი მარინე სიორიძე. პროგრამაში შემავალ იტალიური ენის ინტეგრირებული კურსების სავალდებულო არჩევით მოდულს ხელმძღვანელობს ასოცირებული პროფესორი მარინე სიორიძე, ხოლო ესპანური ენის ინტეგრირებულ კურსების სავალდებულო არჩევით მოდულს ხელმძღვანელობს მოწვეული მასწავლებელი ლია ვარშანიძე. პროგრამაში მონაწილე აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ბოლო 5 წლის განმავლობაში ადგილობრივ რეგენზირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოაქვეყნა 154 პუბლიკაცია, უცხოურში 78, მონაწილეობა მიიღო 131 ადგილობრივ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და კონგრესში და 66 უცხოურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციასა და კონგრესში.

რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პირებია:

ბსუს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები :

1. ნატალია სურგულაძე
2. მარინე გიორგაძე
3. ლალი ზაქარაძე
4. ჯემალ კარალიძე

ბსუს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორები :

5. ვიქტორია დიასამიძე
6. მარინე სიორიძე
7. თამილა დავითაძე
8. ვარდო ბერიძე
9. ნანა ცეცხლაძე
10. ნანა ტრაპაიძე
11. ლევან ხალვაში
12. ირაკლი ბარამიძე
13. გიორგი მასალკინი
14. ლალი ანთიძე
15. იბრაიმ დიდმანიძე

ბსუს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის, ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის ასისტენტ-პროფესორი:

16. ნათია აბაშიძე
17. ნინო სამნიძე

18. ლეილა დიასამიძე

ბსუს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი :

19. კესო ბორჩხაძე

20. მზია ხახუტაიშვილი

ბსუს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული პერსონალი :

- 21. უფ.მასწ. ნინო გურგენიძე
- 22. უფ.მასწ. სოფიო კახიძე
- 23. მასწ. ლია ვარშანიძე
- 24. მასწ. რუსუდან ბერიძე
- 25. მასწ. მანონი ძნელაძე
- 26. უფ.მასწ. ზებუნ ბერიძე

მატერიალური რესურსები:

რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ:

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი მატერიალური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. ამდენად, უნივერსიტეტს აქვს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო წიგნადი ფონდი. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ბეჭდური და ელექტრონულ მატარებლებზე არსებული საბიბლიოთეკო ფონდი არის განახლებადი დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ.

უნივერსიტეტში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ უფასო ინტერნეტით.

ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის საბიბლიოთეკო (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35 (ბსუ-ს N1კორპუსი) რესურსებს შეადგენს საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო და კომპიუტერული დარბაზები, საბიბლიოთეკო კოლექციები (სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნადი და არაწიგნადი ფონდი: სახელმძღვანელოები, სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, პერიოდული გამოცემები, საცნობარო გამოცემები, ელექტრონული რესურსები და ა.შ.); ელექტრონული ბიბლიოთეკა (ელექტრონული წიგნები და პერიოდული გამოცემები, აუდიო და ვიდეოჩანაწერები; ელექტრონული სამეცნიერო ბაზები).

ბსუ-ს პერსონალს და სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკის კომპიუტერული ტექნიკით, სამკითხველო და კომპიუტერულ დარბაზებში, ელექტრონული რესურსებითა და ბეჭდური საბიბლიოთეკო ერთეულის ბიბლიოთეკიდან გარკვეული ვადით გატანის უფლებით (ე. წ. აბონემენტით მომსახურება).

უნივერსიტეტს წვდომა აქვს შემდეგ ძირითად საერთაშორისო ბაზებთან:

- Elsevier - www.elsevier.com;
- sciencedirect- www.sciencedirect.com;
- Scopus - www.scopus.com;
- EBSCO და სხვა. ასევე, უნივერსიტეტს გააჩნია წვდომა კემბრიჯის სხვადასხვა მიმართულების ბაზებთან, ჩამონათვალი და მათზე ზოგადი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბსუ-ს ვებგვერდზე: <https://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-174/index.html>
- ბიბლიოთეკა იყენებს მართვის ინტეგრირებულ სისტემებს „Open Biblio“ და „KOHA“, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს დისტანციურად მონახოს და დაჯავშნოს მისთვის საინტერესო რესურსი; დამატებითი ინფორმაცია საბიბლიოთეკო რესურსების შესახებ იხილეთ ბმულზე - <http://www.bsu.edu.ge/sub-15/page/2-237/index.html>).
- ბსუ, როგორც ორგანიზაცია, დარეგისტრირებულია EURAXESS-ის პორტალზე, შესაბამისად, უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურ პირებს აქვთ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ EURAXESS ვებ. გვერდზე, რაც საშუალებას აძლევს მათ, რომ ჩაერთონ საერთაშორისო კონკურსებსა და პროექტებში, მოიპოვონ დაფინანსება.
- სასწავლო ლიტერატურისა და სხვა მასალის მოპოვებას სტუდენტი შეძლებს აგრეთვე ევროპეისტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში.

უნივერსიტეტს აქვს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, საპროფესორო

	<p>აუდიტორია, სადაც სტუდენტებს პროფესორები უწევენ კონსულტაციას, სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და კომპიუტერული აუდიტორიები.</p> <p>უნივერსიტეტს აქვს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო შესაბამისი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზი, საპროფესორო აუდიტორია, სადაც სტუდენტებს პროფესორები უწევენ კონსულტაციას, სასწავლო/სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და კომპიუტერული აუდიტორიები.</p> <p>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებობს უახლესი სასწავლო-სამეცნიერო ლიტერატურით, ლექსიკონებით, აუდიო-ვიზუალური მასალით აღჭურვილი მუდმივად განახლებადი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები და სინქრონული თარგმნის ლაბორატორია ინტერნეტმომსახურებით.</p> <p>რომანისტიკის მიმართულებას გააჩნია კაბინეტი(63-ე), პროგრამით გათვალისწინებული ბიბლიოთეკით, პროექტორითა და აუდიო მაგნიტოფონებით, მუდმივი ინტერნეტით, კომპიუტერითა და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ეკიპირებით.</p> <p>პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა:</p> <p>ბსუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესაბამისად დასაქმების ბაზრის კვლევის, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ადამიანური რესურსის გათვალისწინებით, რომანული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრა 10 - ით.</p>
<p>პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის ინფორმაცია პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაზე, ობიექტური მოზადებული ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან/ხელმძღვანელებთან, კუროკულუმის კოძიტეტთან და ბსუ-ს ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით.</p>
<p>დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)</p>	<p>1. ერასმუსის - ევროპულ გაცვლით პროგრამებში ფრანგული ფილოლოგიის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მონაწილეობა :</p> <p>ერასმუსის მუნდუსის პროგრამით ქალაქ ანჟერის უნივერსიტეტში, სხვადასხვა წლებში, მონაწილეობა მიიღო ფრანგული ფილოლოგიის პროგრამის 3 სტუდენტმა. 2013-14 წლებში ორმა სტუდენტმა (მარიამ მჭედლიძე და ნათია ფერაძე) მიიღო სრული დაფინანსება ერასმუს მუნდუს (Erasmus Mundus Action 2 Webb) საბაკალავრო პროგრამაზე, ერთმა სტუდენტმა სამაგისტრო პროგრამაზე(ნათია მსხალაძე), ერთმა სადოქტორო პროგრამაზე(თამარ მაჭუტაძე), ხოლო ერთმა პროფესორმა (ნ.სურგულაძე)მკვლევარ-მასწავლებლის პოზიციაზე. ამ პროგრამის წყალობით 2015 წლის თებერვალ-მარტში გაფორმდა გაცვლითი ურთიერთთანამშრომლობითი საგანმანათლებლო მემორანდუმი საფრანგეთის ქალაქ პუატის უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის, რაც გულისხმობს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ივნისი-ივლისის თვეში ბსუს ფრაკოფონი სტუდენტებისა და ფრანგული ფილოლოგიის პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობას ორკვირიან საზაფხულო კამპუსში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რის საფუძველზეც 2014-2016-2018 წლებში ფრანგული ფილოლოგიის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს პუატის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) ორკვირიან საზაფხულო კამპუსში.</p> <p>2015 წელს ასისტენტ პროფესორმა ნათია აბაშიძემ მოიპოვა სრული დაფინანსება ერასმუს მუნდუს ტემპო 2 პროგრამაში, იტალიის ქალაქ პავის უნივერსიტეტში ფრანგული ფილოლოგიის მიმართულებაზე (6 თვით).</p> <p>2016 წელს ასოცირებული პროფესორი მარინე სიორიძე ერასმუს მუნდუს საგრანტო პროგრამით იმყოფებოდა ქალაქ სევილიაში ფრანგული ფილოლოგიის ფაკულტეტზე 10 თვით პოსტდოქტორანტურის პოზიციაზე.</p> <p>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები მარინე გიორგაძე და ნატალია სურგულაძე 2019 წლის 25-30 მარტს აკადემიური პერსონალის სტატუსით ერასმუს+-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, ქალაქ რუანის უნივერსიტეტში (საფრანგეთი) იმყოფებოდნენ. ვიზიტის ფარგლებში შედგა საქმიანი შეხვედრები ლინგვისტიკის დეპარტამენტის პროფესორ სალი აკინსა და ლინგვისტური მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელთან, ბატონ რიშარ საბრისთან, ასევე ფილოლოგიისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, ბატონ ჟოზეფ ლოზანოსთან. დაიგეგმა 2019 წლის სექტემბერში ურთიერთთანამშრომლობითი საზაფხულო სკოლის</p>

	<p>ორგანიზება ფრანგული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე (სამწუხაროდ ეს ვიზიტი პანდემიის გამო ვერ განხორციელდა).</p> <p>2. აჭარა წარმოადგენს ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრს, რაც საშუალებას აძლევს ჩვენი სპეციალისტების სტუდენტებს და ახალგაზრდა მასწავლებლებს მონაწილეობა მიიღონ “ევროდისეას“ გაცვლით პროგრამაში, რომელსაც მრავალი წელია სახელმწიფო დონეზე ახორციელებს აჭარის განათლების, მეცნიერებათა და სპორტის სამინისტრო. ამ პროგრამის წყალობით ჩვენს კურსდამთავრებულებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ საკუთარი ცოდნის ინტეგრირება ბუნებრივ გარემოში, მიიღონ ევროპული სამუშაო გამოცდილება 3, 6-7 თვის განმავლობაში საფრანგეთის, ბელგიისა და შვეიცარიის ქალაქებში, გაეცნონ ევროპულ კულტურას და მაღალ დონეზე დაეუფლონ ენობრივ კომპეტენციებს. კერძოდ, 2009 წელს ფრანგული ფილოლოგიის 2 კურსდამთავრებული(ფრანგული ლინგვისტიკის დოქტორანტები) გაიგზავნა ქალაქ ტულუზაში სტაჟიორ მასწავლებლად „ევროდისეას“ პროგრამით. არაერთ ჩვენს კურსდამთავრებულს მიუღია მონაწილეობა და ამჟამადც მონაწილეობს ამ პროგრამაში.</p> <p>ამავე პროგრამით 2007 წლიდან დღემდე ფრანგული ფილოლოგიის სპეციალობაზე სტაჟირება გაიარა მრავალმა ფრანგმა სტაჟიორ-მასწავლებელმა, რომლებიც 1 ან 3 თვიანი პერიოდით ფრანგული ენის პრაქტიკულ კურსს უტარებს ფრანგული ფილოლოგიის სტუდენტებს.</p> <p>3. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ურთიერთანამშრომლობითი ხელშეკრულება აქვს საქართველოში ფრანგულ ინსტიტუტთან, რომელიც მრავალი წელია რომანისტიკის კაბინეტს ამარაგებს სასწავლო-მეთოდოლოგიური თუ ფრანგი მწერლების ნაწარმოებებით, ყოველწლიურად ურთიერთანამშრომლობით იმართება და იგეგმება მრავალი სხვადასხვა ღონისძიება, ფრანგი სტაჟიორების გამოგზავნა, საფრანგეთის უნივერსიტეტებთან დაკავშირება და ერასმუსის გაცვლით პროექტებში ჩართულობა, 2012-2013 წლებში ფრანგულ ინსტიტუტთან თანამშრომლობით ბსუ-ში ფუნქციონირებდა ფრანგული ფილმების კლუბი და ხდებოდა ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს ფრანგული ფილმების ჩვენება, გაზაფხულზე ფრანკოფონიის დღეებისადმი მიძღვნილ კვირეულში ფრანგული ფილოლოგიის სტუდენტები და მასწავლებლები აწყობენ ფრანგული კულტურისა და ცივილიზაციისადმი მიძღვნილ ინტელექტუალურ ღონისძიებებს აჭარის რეგიონის სკოლების თანამონაწილეობით, გამარჯვებულ სტუდენტებსა და მოსწავლეებს აჯილდოვებენ საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს საფრანგეთის საელჩომ დააფინანსა პუატიეს უნივერსიტეტის საზაფხულო კამპუსის 2 მონაწილე. მჭიდრო ურთიერთობა საფრანგეთის საელჩოსა და ფრანგულ ინსტიტუტთან დღემდე გრძელდება და იგეგმება მრავალი პროექტის განხორციელება მათი თაოსნობითა და მხარდაჭერით.</p> <p>4. 2018 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაწევრიანდა ფრანკოფონიის საუნივერსიტეტო სააგენტოში, რაც გულისხმობს უნივერსიტეტსა და სააგენტოს შორის მჭიდრო ურთიერთანამშრომლობას, კერძოდ საზაფხულო სკოლების, ტრენინგების, კონფერენციებში მონაწილეობისა და ორგანიზებაში მატერიალურ-ფინანსურ მხარდაჭერას. დღემდე სააგენტოსთან ურთიერთანამშრომლობით ჩატარდა პროფესორ-მასწავლებლების ტრენინგები, მათი დაფინანსებით სტუდენტები გაიგზავნა საზაფხულო სემესტრებში. მიმდინარე წელს სპეციალისტის 2 გამარჯვებული სტუდენტი მონაწილეობს AUF-ის, ფრანკოფონიის საერთაშორისო საუნივერსიტეტო სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ფრანკოფონიის ცენტრარული და აღმოსავლეთ ევროპის სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც სრულყოფილად და დაფინანსებული ამ სააგენტოს მიერ(მგზავრობა, დაბინავება, დაზღვევა, კვება და სხვა).</p> <p>5. რაც შეეხება საჯარო ლექციებს, საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონის უნივერსიტეტის ემერტუსმა პროფესორმა ვალანტინ გროჟანმა 2013 15-26 აპრილს ჩაატარა ფრანგული ფილოლოგიის სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის ღია ლექციები.</p> <p>6. პროგრამაში მონაწილე პროფესორ-მასწავლებლები იმაღლებენ თავიანთ ინტელექტუალურ და პროფესიულ დონეს, რაც დასტურდება მათი მონაწილეობით სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში, კერძოდ 2012 წლის ივლისში ფრანგული ფილოლოგიის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებმა: ნატალია სურგულაძემ, მარინე სიორიძემ და მანონი ძნელაძემ მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის ქალაქ ბეზანსონის უნივერსიტეტში ორგანიზებულ კულტურულ-პედაგოგიურ პროგრამაში ფრანგული ენის სწავლების ახალი მეთოდების გაცნობის მიზნით, ხოლო 2013 წლის ივლისში ორი მასწავლებელი: სოფიო გუჯაბიძე და დინარა ფაღავა იმავე პროგრამით მონაწილეობდნენ ტრენინგში პარიზი-ესონ-კორბეიში, რომელიც ორგანიზებული იყო პარიზის უნივერსიტეტის სორბონა 2-ის მიერ. “Agir“-ის ასოციაციის მიერ ფრანგული ფილოლოგიის პროგრამაზე 3 თვით (2016 წლის მარტიდან ივნისამდე)მოწვეულ იქნა ფრანგი პედაგოგი ფრანსუაზ ლენოტრი, რომელმაც ფრანკოფონ სტუდენტებს ენის პრაქტიკული კურსები ჩაუტარა.</p> <p>7. 2012-2013 წლებში ჩვენს პროგრამაზე გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ირიცხებოდა სტუდენტები აზერბაიჯანის ქალაქ ნახჭევანის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.</p>
--	---

პერსონალის საქმიანობის, სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო ბაზებში ინდექსირებულ ჟურნალებში და გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები და კვლევები, უწყვეტი პროფესიული განვითარება, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, საერთაშორისო თანამშრომლობა, საგრანტო პროექტებში მონაწილეობა დეტალურად ასახული პროგრამის განმახორციელებელ პირთა CV-ში.